



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის

წესდება

## თავი I

### სახელწოდება და მიზანი

#### მუხლი 1.1 სახელწოდება

ქართულად: „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის.“

ინგლისურად: “Coalition for an Independent and Transparent Judiciary.”

#### მუხლი 1.2 მიზანი

კოალიციის მიზანია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა დამოუკიდებელ და გამჭვირვალე მართლმსაჯულების მისაღწევად.

#### მუხლი 1.3 ამოცანები

1. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება.
2. საკანონმდებლო და მარეგულირებელი მიმართულებით ადვოკატირება დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის.
3. კოალიციის წევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და კოალიციის ფარგლებში, პროგრამის პარტნიორებს შორის აქტივობების დუბლირების თავიდან აცილება.

#### მუხლი 1.4 კოალიციის საწევრო გადასახადი

კოალიციის წევრებს არ მოეთხოვებათ საწევრო გადასახადის გადახდა, რათა გახდნენ კოალიციის სრულფასოვანი წევრები, ან შემდგომში შეინარჩუნონ წევრობა. მმართველი კომიტეტის წევრები და კოალიციის ხელმძღვანელი პირები, კოალიციისთვის გაწეულ სამსახურში ფინანსურ კომპენსაციას არ მიიღებენ.

## თავი II

### წევრობა

#### მუხლი 2.1 წევრობის წინაპირობები

1. კოალიციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, ბიზნეს ასოციაცია, პროფესიული ასოციაცია და მედია საშუალება, რომელიც მხარს უჭერს და იზიარებს კოალიციის მიზნებს და ამოცანებს. კოალიციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაცია,

რომელიც იზიარებს ამ დოკუმენტის პირველ თავში ასახულ საერთო მიზნებს და ურთიერთგაგების მემორანდუმის სულისკვეთებას, გამოხატავს მზაობას კოალიციის სხვა წევრებთან თანამშრომლობაზე კოალიციის საერთო მიზნების მისაღწევად, აქვს მკვეთრად გამოხატული ინტერესი ანდა სათანადო გამოცდილება მართლმსაჯულების რეფორმის და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

2. კოალიცია მისი არსებობის მანძილზე ღიაა ახალი წევრებისთვის. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა წერილობით უნდა მიმართონ კოალიციის მმართველ კომიტეტს, მის მიერ შემუშავებული პროცედურების და ვადების დაცვით. მმართველი კომიტეტი განიხილავს გაწევრიანებაზე განაცხადებს და იღებს გადაწყვეტილებას დაინტერესებული ორგანიზაციის კოალიციის წევრად მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. კოალიციის ახალი წევრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოალიციის მმართველი კომიტეტი დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით.

## **მუხლი 2.2. კოალიციის წევრის ვალდებულებები**

კოალიციის წევრი ვალდებულია:

1. პატივი სცეს კოალიციის მიზნებსა და ამოცანებს;
2. დაიცვას და შეასრულოს კოალიციის წესდება;
3. რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა კოალიციის და მისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

## **მუხლი 2.3 კოალიციიდან გარიცხვა**

1. კოალიციის წევრი, მმართველი კომიტეტის ანდა კოალიციის წევრთა არანაკლებ 1/10-ის ინიციატივით, შეიძლება გარიცხულ იქნას კოალიციიდან იმ შემთხვევაში, თუ იგი დაარღვევს კოალიციის მარეგულირებელ დებულებებს, უგულვებელყოფს კოალიციის ინტერესებს და კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, არ მონაწილეობს კოალიციის ღონისძიებებში და მისი მიზნების რეალიზაციაში, უგულვებელყოფს კოალიციის ძირითად მიზნებს ანდა უპატივცემულოდ ეპყრობა კოალიციის რეპუტაციას და მის წევრებს.

2. კოალიციის წევრის გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოალიციის მმართველი კომიტეტი, მთლიან შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

## **მუხლი 2.4 კოალიციიდან გასვლა**

კოალიციის წევრს უფლება აქვს დატოვოს კოალიცია, თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რის თაობაზეც წერილობით აცნობებს მმართველ კომიტეტს და მდივანს.

## **მუხლი 2.5. კოალიციის შეხვედრები**

1. კოალიციის წევრთა შეხვედრა, იმართება წელიწადში ერთხელ. აუცილებლობის შემთხვევაში, კოალიციის წევრთა შეხვედრა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ონლაინ ფორმატში. მმართველი კომიტეტის ან კოალიციის წევრთა 1/3-ის ინიციატივით, შესაძლებელია მოწვეულ იქნას საგანგებო შეხვედრა, კოალიციის წევრთა ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით წინასწარ შეტყობინებით.
2. შეხვედრებზე კოალიციის წევრს, ყოველგვარი მინდობილობის გარეშე, წარმოადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენელი, სათანადო წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.
3. კოალიციის წევრთა შეხვედრა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი.
4. კოალიციის წევრთა შეხვედრაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.
5. კოალიციის წევრთა შეხვედრას უძღვება მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე. კოალიციის წევრთა შეხვედრის მიმდინარეობაზე დგება ოქმი, რომლის სისწორეზეც პასუხისმგებელია მმართველი კომიტეტის მდივანი.

## **თავი III**

### **მმართველი კომიტეტის უფლებამოსილებები**

#### **მუხლი 3.1 რაოდენობა, შერჩევა, გამოწვევა**

1. მმართველი კომიტეტი შედგება კოალიციის წევრი 9 (ცხრა) ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან (თითო ორგანიზაციიდან თითო წარმომადგენელი), რომლებიც აირჩევიან ორი წლის ვადით. მმართველი კომიტეტის წევრების უფლებამოსილება გრძელდება ორი წლის გასვლის შემდეგაც, მმართველი კომიტეტის ახალი წევრების არჩევამდე.
2. მმართველი კომიტეტის წევრებს ირჩევენ კოალიციის წევრების შეხვედრაზე, ფარული კენჭისყრით. მმართველი კომიტეტის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.
3. მმართველი კომიტეტის წევრი შეიძლება გამოწვეულ იქნას დაკავებული პოზიციიდან კოალიციის წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით, მის მიმართ არსებული დასაბუთებული არგუმენტაციის არსებობის შემთხვევაში. გაწვეული წევრის ნაცვლად აირჩევა ახალი წევრი.

#### **მუხლი 3.2 მმართველი კომიტეტის სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. მმართველი კომიტეტი იკრიბება სულ მცირე თვეში ერთხელ მაინც. აუცილებლობის შემთხვევაში, მმართველი კომიტეტის სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ონლაინ ფორმატში. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის ან/და წევრთა 1/3-ის ინიციატივით,

შესაძლებელია მოწვეულ იქნას საგანგებო სხდომა, მმართველი კომიტეტის წევრთა ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით განხორციელებული წინასწარ შეტყობინების გზით.

2. მმართველი კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც.

3. მმართველი კომიტეტის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

4. მმართველი კომიტეტის სხდომას უძღვება თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე. მმართველი კომიტეტის სხდომის მიმდინარეობაზე დგება ოქმი, რომლის სისწორეზეც პასუხისმგებელია მმართველი კომიტეტის მდივანი.

5. მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია კოალიციის პოზიციის ფორმირებასთან და/ან განცხადების გავრცელებასთან, მმართველი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ეგზავნება კოალიციის ყველა წევრს.

6. თუ მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილების კოალიციის წევრებთან გაგზავნის მომენტიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში კოალიციის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი არ გამოხატავს გადაწყვეტილების საწინააღმდეგო პოზიციას, გადაწყვეტილება ჩაითვლება მიღებულად. იმ შემთხვევაში, თუ კოალიციის წევრმა ორგანიზაციამ წარმოადგინა საკუთარი დასაბუთებული შეხედულება, მმართველი კომიტეტი უფლებამოსილია გადადოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება და განიხილოს წარმოდგენილი შეხედულებები.

7. კოალიციის სახელით მომზადებული წერილობითი დოკუმენტის გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ მმართველი კომიტეტი უარს იტყვის საკითხის ხელახლა განხილვაზე ან წარმოდგენილი პოზიციის გაზიარებაზე, კოალიციის წევრს, რომელიც არ ეთანხმება წერილობითი დოკუმენტის შინაარსს, უფლება აქვს მოითხოვოს გასაგრძელებელ დოკუმენტთან ერთად დისქლეიმერის გამოქვეყნება. განცხადებაზე, რომელიც მცირე მოცულობისაა და მიზნად ისახავს მიმდინარე საკითხზე დროულ გამოხმაურებას, დისქლეიმერი შესაძლებელია იყოს ნეიტრალური შინაარსის. სხვა მოცულობით წერილობით დოკუმენტს (ანგარიში, შეფასება და ა.შ) შეიძლება დაერთოს არგუმენტირებული დისქლეიმერი, რომელიც ასახავს კოალიციის წევრი ორგანიზაციის განსხვავებულ პოზიციას მის შინაარსთან დაკავშირებით. დისქლეიმერის ტექსტი კოალიციის მმართველ კომიტეტს წერილობით უნდა წარედგინოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ დასაბუთებულ შეხედულებასთან ერთად. ასეთ შემთხვევებში, კოალიციის მიერ მომზადებული დოკუმენტი ქვეყნდება შესაბამის დისქლეიმერთან ერთად.

### **მუხლი 3.3 დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღება**

1. გამონაკლის შემთხვევებში, თუ კოალიციის პოზიციის გამოხატვის დაყოვნებამ შესაძლოა აზრი დაუკარგოს პოზიციის გამოხატვას ან/და შექმნას საფრთხე იმისა, რომ კოალიციამ ეფექტურად ვერ განხორციელოს საკუთარი მიზნები და ამოცანები, ან/და დაყოვნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კოალიციის მიერ წარმოებული ადვოკატირების კამპანიის ეფექტურობას ან/და შესაძლოა დროული რეაგირების გარეშე დარჩეს კოალიციისთვის პრიორიტეტული საკითხი, შესაძლებელია მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაწყვეტილება მიღებულ და გასაჯაროებულ იქნას ამ წესდების 3.2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტში მოცემული წესების დაცვის გარეშე.

2. დაჩქარებული წესით მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეგზავნება კოალიციის ყველა წევრს. კოალიციის წევრებისთვის გაგზავნილ გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს დასაბუთება, თუ რატომ იქნა გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების დაჩქარებული წესი.

### **მუხლი 3.4 გადაწყვეტილების მიღება სხდომის გარეშე**

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მმართველი კომიტეტის შეკრება, შესაძლებელია გადაწყვეტილება მიღებულ იქნას მმართველი კომიტეტის შეკრების გარეშე, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების მეშვეობით.
2. სხდომის გარეშე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარი დაუჭირა სულ მცირე მმართველი კომიტეტის სრული შემადგენლობის 2/3-მა.

### **მუხლი 3.5 კოალიციის წევრების წინასწარი გაფრთხილება და მათი დასწრება მმართველი კომიტეტის შეხვედრებზე**

1. მმართველი კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, ღიაა კოალიციის ნებისმიერი წევრისათვის. სხდომაზე დამსწრე კოალიციის წევრს უფლება აქვს აზრი გამოთქვას განსახილველ საკითხზე, მაგრამ მონაწილეობას ვერ იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
2. მმართველი კომიტეტის სხდომების ჩატარების დროისა და თარიღის შესახებ ინფორმაცია იგზავნება კოალიციის ყველა წევრთან არაუგვიანეს სხდომის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე. ინფორმაციის დაგზავნას უზრუნველყოფს კოალიციის სამდივნო.
3. მმართველი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას კოალიციის სამდივნო დაუყოვნებლივ აგზავნის კოალიციის ყველა წევრთან.

### **მუხლი 3.6 სამუშაო/საინიციატივო ჯგუფები**

1. კოალიციის ფარგლებში იქმნება სამუშაო/საინიციატივო ჯგუფები თემატური ნიშნით ანდა პრობლემური საკითხების ირგვლივ. სამუშაო ჯგუფი შესაძლოა შეიქმნას გარკვეული ვადით ან უვადოდ. საინიციატივო ჯგუფი იქმნება გარკვეული დროით, კონკრეტული ადვოკატირების მიზნის მისაღწევად.
2. სამუშაო ჯგუფები იქმნება მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით ან/და კოალიციის არანაკლებ 5 წევრიანი ჯგუფის ინიციატივით. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას, ხმათა უბრალო უმრავლესობით, იღებს მმართველი კომიტეტი.
3. საინიციატივო ჯგუფები იქმნება მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით ან/და კოალიციის არანაკლებ 3 წევრიანი ჯგუფის ინიციატივით. საინიციატივო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას, ხმათა უბრალო უმრავლესობით, იღებს მმართველი კომიტეტი.
4. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს მმართველი კომიტეტი.
5. სამუშაო/საინიციატივო ჯგუფები ვალდებული არიან კოალიციის მმართველ კომიტეტს და კოალიციას მიაწოდონ ინფორმაცია სამუშაო /საინიციატივო ჯგუფების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ასევე მათ მიერ წამოწეული საკითხების ადვოკატირების გეგმებთან დაკავშირებით.

6. სამუშაო/ საინიციატივო ჯგუფი უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, 3 წევრისგან. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს კოორდინატორი, რომელსაც ირჩევს სამუშაო ჯგუფი მისი წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

7. სამუშაო/საინიციატივო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლოა ჯგუფის გადაწყვეტილებით ერთჯერადად ან ხანგრძლივად მოწვეული იყოს გარე ექსპერტი (ექსპერტები).

8. სამუშაო/საინიციატივო ჯგუფის ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სამუშაო ჯგუფისთვის დაფინანსების მოძიება სხვადასხვა წყაროდან. დაფინანსების წყაროს მოძიების ან არსებული წყაროს (დონორის) შემოთავაზების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მმართველი კომიტეტი.

## თავი IV

### კოალიციის წევრების ინფორმირება და კოალიციის გარე კომუნიკაცია

#### მუხლი 4.1. კოალიციის მიერ განხორციელებული გარე და შიდა კომუნიკაციის წესები

1. კოალიციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კოალიციის წევრების დროულ ინფორმირებაზე პასუხისმგებელია სამდივნო. სამდივნო უზრუნველყოფს კოალიციის წევრებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, წინასწარ, გონივრული ვადის დაცვით, უზრუნველყოფს კოალიციის წევრების ინფორმირებას კოალიციაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების, კოალიციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების და სხვა აქტივობების შესახებ. კოალიციის სამდივნო კოალიციის წევრებს დროულად და ეფექტურად აწვდის იმ ინფორმაციას, რომელსაც იგი გასავრცელებლად მიიღებს კოალიციის მმართველი კომიტეტისგან ან სამუშაო/საინიციატივო ჯგუფისგან.

2. კოალიციის წევრებისა და საზოგადოების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, ვებ გვერდისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

3. კოალიციის სამდივნო ვალდებულია უზრუნველყოს ვებ გვერდისა და სოციალური გვერდის გამართული ფუნქციონირება და მისი დროული განახლება.

4. ნებისმიერი სახის ინფორმაცია და განცხადება, რომელიც კოალიციის სახელით გავრცელდება, უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ტექსტების თარგმნა გონივრული ვადის დაცვით, მაგრამ არაუმეტეს 7 სამუშაო დღისა, უნდა უზრუნველყოს კოალიციის სამდივნომ.

## თავი V

### ინტერესთა კონფლიქტი

#### მუხლი 5.1. ინტერესთა კონფლიქტის განმარტება

1. კოალიციის მმართველი კომიტეტის სხდომებზე საკითხების განხილვის დაწყებამდე კოალიციის წევრი ორგანიზაცია ვალდებულია წინასწარ განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

2. ინტერესთა კონფლიქტი არის ნებისმიერი სახის კერძო თუ საჯარო ურთიერთობა და/ან მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ორგანიზაციას და/ან მის რომელიმე წარმომადგენელს, რისი

გათვალისწინებითაც, ობიექტური დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პირი ვერ იქნება დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი. ინტერესთა კონფლიქტის წარმომქმნელი გარემოება შესაძლოა დაკავშირებული იყოს კერძო, პროფესიული, საზოგადოებრივ, ოჯახურ, ნათესაურ ან ნებისმიერი სხვა ნიშანთან თუ გარემოებასთან.

## თავი VI

### ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებები

#### მუხლი 6.1 ხელმძღვანელი პირები

კოალიციის ხელმძღვანელი პირები არიან: თავჯდომარე და თავჯდომარის მოადგილე. კონკრეტული მიმართულებების კოორდინაციის უფლებამოსილებები შეიძლება მიენიჭოს მმართველი კომიტეტის მიერ დანიშნულ სხვა კომპეტენტურ პირებსაც.

#### მუხლი 6.2 ხელმძღვანელი პირების დანიშვნა

კოალიციის თავჯდომარეს და თავჯდომარის მოადგილეს, თავისი შემადგენლობიდან, ფარული კენჭისყრით, ირჩევს მმართველი კომიტეტი, ერთი წლის ვადით. თავმჯდომარედ და თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

#### მუხლი 6.3 გადადგომა

კოალიციის ხელმძღვანელ პირებს უფლება აქვთ გადადგნენ დაკავებული პოზიციებიდან პირადი განცხადების საფუძველზე, რის თაობაზეც წერილობით აცნობებენ მმართველ კომიტეტს.

#### მუხლი 6.4. გათავისუფლება

კოალიციის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კოალიციის ხელმძღვანელი პირი შეიძლება გამოწვეულ იქნას დაკავებული პოზიციიდან მმართველი კომიტეტის წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით, მის მიმართ არსებული დასაბუთებული არგუმენტაციის არსებობისას.

#### მუხლი 6.5 თავმჯდომარე

1. კოალიციის თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, კოალიციის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ახორციელებს კოალიციის ზოგად ხელმძღვანელობას და კოორდინაციას.
2. თავმჯდომარე არის კოალიციის წარმომადგენელი საჯარო ურთიერთობებში და მას აქვს უფლება გააკეთოს საჯარო განცხადებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კოალიციის საქმიანობაზე და მომავალ გეგმებზე.

#### მუხლი 6.6 თავმჯდომარის მოადგილე



თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან მისი დავალებით, თავმჯდომარის მოადგილე ახორციელებს თავმჯდომარის ყველა უფლებამოსილებას.

### **მუხლი 6.7 მდივანი**

1. მდივანი, ორგანიზებას უწევს კოალიციის შეხვედრისა და მმართველი კომიტეტის სხდომის ოქმის შედგენას და მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისათვის.
2. მდივანი შეიძლება არ იყოს მმართველი კომიტეტის წევრი, რასაც ამტკიცებს მმართველი კომიტეტი თავისი გადაწყვეტილებით.

## **თავი VII**

### **გარდამავალი დებულებები**

#### **მუხლი 7.1. მმართველი კომიტეტის პირველი არჩევნები**

მმართველი კომიტეტის პირველი არჩევნების პროცედურებს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. დგება ხმის დამთვლელი სამკაცციანი კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი არის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენელი.

## **თავი VIII**

### **დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 8.1 შესწორებები**

1. წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე და დამტკიცებულია კოალიციის წევრთა მიერ ერთხმად.
2. წინამდებარე წესდებაში ნებისმიერი ცვლილების და დამატების შეტანა შესაძლებელია კოალიციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
3. წესდება მიღებული იქნა ერთხმად კოალიციის წევრების მიერ 2011 წლის 20 მაისს. წესდებაში ცვლილებები მიღებულ იქნა 2014 წლის 12 ოქტომბერს კოალიციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით.